წერილის ნომერი: **46-462233979**
თარიღი: **05/12/2022**

ადრესატი: ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარეს ბატონ ირაკლი კუჭავას

ბატონო ირაკლი,

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 ნოემბრის #71 განკარგულებით საპრივატიზაციო ნუსხაში დამტკიცდა, დაბა ჩოხატაურში დუმბაძის ქ. #66-ში მდებარე #1, #2 და #3 შენობა-ნაგებობა და მათზე დამაგრებული 4045.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ - 28.01.22.070), რომელიც წარმოადგენს მუნიციპალიტეტის ძირითად (განუსხვისებელი) ქონებას და რომელიც მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გადაეცა სსიპ საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს განთავსების მიზნით. აღნიშნული უძრავი ქონების მუნიციპალიტეტის საკუთრებად რეგისტრაცია განხორციელდა 2013 წლის 10 სექტემბერს. შემდგომ ამისა, აღნიშნული უძრავი ქონება უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაეცა სსიპ საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს (13.01. 2015 წ). შენობის შეუსაბამო მდგომარეობის გამო შეწყდა ჩოხატაურის მუნიციპალიტეტსა და სსიპ საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს შორის გაფორმებული უზუფრუქტის ხელეკრულების მოქმედება (07.08. 2019 წ.). სსიპ საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტო სტრუქტურული ერთეულის განთავსების მიზნით, გამოიძებნა ალტერნატივა და განთავსებულ იქნა სხვა შენობაში. საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 121-ე მუხლის თანახმად აღვნიშნავთ, რომ აღნიშნული შენობა-ნაგებობანი გამოთავისუფლებულია, არის უფუნქციოდ და მისი გამოყენება აღარ ხდება მუნიციპალიტეტის საჯარო ფუნციების განხორციელების მიზნით. ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ სსიპ საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტო სტრუქტურული ერთეულის განთავსების მიზნით, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში აშენდა ახალი შენობა-ნაგებობა. გამომდინარე აქედან, საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 121-ე მუხლის საფუძველზე გთხოვთ, მოგვცეთ თანხმობა დაბა ჩოხატაურში დუმბაძის ქ. #66-ში მდებარე #1, #2 და #3 შენობა-ნაგებობისა და მათზე დამაგრებული 4045.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ - 28.01.22.070) როგორც ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების გასხვისების თაობაზე.

დანართი zip ფაილი.

პატივისცემით,

დავით შარაშიძე

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერია-მუნიციპალიტეტის მერი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი